

572/2  
1980/2

USSR 0132-5965

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՅՈՒՄՈՅՑ



ՀԱՅԿ

1980 ՈՅՈՒՅՑ N 7



# ენბურკენი

ნოღარ  
ზაშანაძე

მამამ ჯვარზე წამიყვანა,  
 მეც ენგურის წყალი შევსვი,  
 ჩემი თვალით ვინახულე  
 მშენებლობა უდიდესი.

აღუძვრთავთ კაშხალები,  
 აუციხთ დიდი ჰესი;  
 მოეფინა მთელ ქვეყანას  
 სხივი—უსვად დანათესი.

აი, მესმის მშენებლობა,  
 ელსადგური აი, მესმის..  
 როცა დიდი გაუიწოდები,  
 მსურს ავავთო უკეთესი.



16.407



# მ ა რ ს კ ე ლ ა ვ ა

## მიხაილ მიჩილაშვილი

იენისის დასაწყისში სოფელში ჩავედი პაპასთან.

ეზოში შევედი თუ არა, პატარა კვიცი დავინახე და სიხარულით შევეყვირე:

— ვარსკვლავა!

წაბლისფერ კვიცს შუბლზე და მკერდზე თეთრი, ვარსკვლავებივით ტალღები ჰქონდა. პაპამ შემომძახა:

— ნათლიას გაუმარჯოს! ნამდვილად შესაფერი სახელი დაარქვი კვიცს. ამიერიდან ვარსკვლავას დაუძახებთ ყველანიო.

მივირბინე და კისერზე მოვეხვიე ვარსკვლავას.

კვიცმა იუცხოვა, დაიფრუტუნა, შეკუნტრულდა და გაიქცა. გამოვეყიდე, მაგრამ ვერ დავეწიე.

## მზატარი თამაზ ხუციშვილი

პაპამ გაიცინა. შეიდი დღის კვიცი გჯობნის სირბილში შეიდი წლის ბიჭსაო. თუმცა, შეილო, დასძინა მერე:— შენ ცხენისა რა იცი. ქალაქად კინოში, ცირკში ან ტელევიზორში თუ ნახავ ცხენსა. ან სოფელში სადღაა ცხენი. ახლა მანქანებმა დაიკავა მაგათი ადგილი. ტრაქტორებით ხნავენ მინდვრებსა, კომბაინებით, იღებენ და ლეწავენ პურსა, აეტომანქანებით გადააქვთ ტვირთი. აი, მაგ კვიცის დედასაც ცოტა საქმე დარჩა ჩვენში. ხანდახან ცხენის ურმით ბალახს და ფიჩხს თუ ჩამოვიტნა. ანდა ვენახს თუ მოვხნავ მწკრივებს შორის ცხენის გუთნითა. წინათ კი ცხენი და ხარი იყო მიწის დამამუშავებელიცა და მგზავრისა და ტვირთის გადამტანიცა. ომშიც სასახე-

ქ. პარპის სახ. საბ. სსრ. საბავშვო ჟურნალის რედაქციაში



ლოდ მიანდა ქართველ კაცს ცხენით წასვლა და ლხინშიაც. და კარგ ვაჟკაცს ყოველ-

თვის კარგი ცხენი ჰყავდა. ემ, ცხენების დროს წაილა, შვილო! — თქვა პაპამ სინანულით.

— შევაჯდები ვარსკვლავს და მდინარეზე საბანაოდ წავალ, რა! — შევეხვეწე პაპას.

— რას ამბობ, ბიჭო! წესიერი კაცი კვიცზე როგორ შეჯდება, სანამ ის სამი წლისა არ გახდება. მერე არც ისე ადვილია გაუხედნავ კვიცზე შეჯდომა. გაუხედნავ კვიცს პირველად რომ შევაჯდებიან, ყალყზე დგება, სულ ტლინკებს ისვრის, ცდილობს ზურგიდან ტვირთი მოიცილოს.

— მა რა ვქნა, პაპა? არ შევაჯდები, მაგრამ ისედაც რომ არ მიკარებს სიახლოვეს?

— მაგას მოვევლება. — თქვა პაპამ. — ცოტა პური აქამე ხოლმე, ბალახი მიუტანე, მიუალერსე, ყურის ძირები მოუქავე და მერე ნახე, როგორ დაგიმეგობრდება.

მართლაც ისე მოექცეო, როგორც პაპამ დამარიგა.

სულ სამ ღღეში ისე შემეჩვია ვარსკვლავა, როგორც კი დამინახავდა, ჩემსკენ გამოობოდა.

მთელი ზაფხული ერთად გავატარეთ. დამყავდა ვენახში, ტყეში, მდინარეზე — საბანაოდ. პირველად წყალში შესვლა არ მოეწონა. მერე წყალსაც შეეჩვია და დგაფუნით დარბოდა პატარა მორევში. მხოლოდ ღამე გვეძინა ცალ-ცალკე, დანარჩენ დროს ერთად ვატარებდით, ვერც მე ვძლებდი უძისოდ და ვერც ვარსკვლავა — უჩემოდ.

ღილით ადგომა თუ დამავიანდებოდა, სახლის კართან ფეხებს აბაკუნებდა და ჭიხვინებდა, მეძახდა, ჩქარა გამოდითო.

ემ, შემოდგომაზე მაინც დაგეცდილეს მე და ვარსკვლავა — სწავლა იწყებოდა და თბილისში წამიყვანეს, ვარსკვლავა კი სოფელში დარჩა. რამდენი ვეხვეწე პაპას, მაგრამ თბილისში არ გამატანა. მომავალ ზაფხულს ჩამოხვალ და აქ დაგიხვდებაო შენი ვარსკვლავა.

ახლა ხშირად სიზმარში ვხედავ ხოლმე ვარსკვლავას, ისევე ერთად დავდივართ მდინარეზე საბანაოდ.

ნეტავ როდის მოვა ზაფხული!



# ბ ი ტ ე ბ ი

მომავალ ოლიმპიკელს  
მზია ჩაბთიანი

სტარტზე დადგა ოთხი ბიჭი—  
ოთხმა ჩიტმა ფრთა გაშალა,

— აბა, მიდი,  
აბა, ფრინდი,—  
გახალისდა გზა და შარა.

ვინც მიახწურებს, იმისია  
დიდი ბურთი—  
მზე ბრიალა,  
მოყვალეთ,  
ფინიშია  
ჭორიზონტი, ტემ კი არა!

არც მდინარის ლურჯი ტოტი,  
არც შთა სასხსნებელი,  
ფინიშია ჰორიზონტი  
სადღაც შორს,  
შორს დაშეებული.

— აბა, მიდი,  
აბა, ფრინდი!—  
გახალისდა გზა და შარა,  
ოთხი ბიჭი მზისკენ მირბის,  
ოთხმა მართუემ ფრთა გაშალა.

# ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ს უ რ ა ტ ი

ზინა სოლომონიშვილი

პრედი პეპლები  
და ყვავილები  
ყმაწვილებივით  
მინდგრებს მოედგნენ...  
მთა წამომხტარა,  
მწვანე ქარები  
იხე შირბოან,  
კვალს არ ტლევებენ...  
პაწაწკინტვია  
თივის აკვნები  
აუტანიათ  
ჩიტებს რტობებე...

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
სამართლებრივი  
ცენტრი

**ნათელა ზაილოძე**

ზაფხულის პაპანაქებას ბევრმა გიარდა თავი... ოქტომბრელებმაც მიაშურეთ პიონერთა ბანაკებს ან კიდევ სოფელში წახვედით სტუმრად.

სტუმრად ჩასულებმა ალბათ უკვე მოიხსენიეთ მთელი სოფელი, მოძებნეთ თქვენი თანატოლები, დაუმეგობრდით... იქ საქმეს რა გამოიღვეს... თქვენც უსაქმოდ ხომ არ გაჩერდებით? წყაროდან ცივ წყალს მოარბენინებთ, ყანაში სამუშაოდ წასულებს შეგ შევლებით, — შინ დარჩენილ პატარებს გიართობთ. არც ყვავილების მორწყვა და გაფრწყლებათ, არც მინდორში განავარდება, პეპლების დევნა, ყვავილები-საგან გვირგვინების დაწვნა...

...ბანაკში სულ სხვაა. აქ ოქტომბრელები ერთ რაზმში ერთიანდებიან. ისინი პიონერულ ხაზზე არ დგებიან, მაგრამ თავიანთ ხაზს აწყობენ ხოლმე... შემდეგ მთელი დღე ბანაკის „ოქტომბრელთა ქალაქში“ თამაშობენ. ეს ქალაქი ხომ ღია ცის ქვეშე გამართული გასართობებია.

სადაც არ უნდა იყოთ, ყველგან შეძლებთ ჟურნალ „დიღის“ წაკითხვას და შეიტყობთ, რომ აგვისტო განსაკუთრებული თვეა თქვენთვის. 56 წლის წინათ აგვისტოში პიონერულ რაზმებთან ჩამოყალიბდა ოქტომბრელთა ჯგუფე-

ბი. საქართველოში პირველ ოქტომბრელთა ჯგუფებს „მაისელებს“ ეძახდნენ. მას შემდეგ კომკავშირის დავალებით სორჩილენინელები დიდი მონდომებით ასრულებენ თქვენი წინამძღოლის მოვალეობას, თქვენთან თამაშობენ, ამზადებენ ზემიებს, გასწავლიან ლექსებსა და სიმღერებს.

უსათუოდ ზემით აღნიშნულ ოქტომბრელთა ჯგუფების დაბადების დღე, 4 აგვისტო. გაიხსენეთ ოქტომბრელთა წესები — ლამაზი ასოებით დაწერეთ და ბანაკის „ოქტომბრელთა ქალაქში“ გააკარით:

„ოქტომბრელები ბეჯითი ბაეშვები ვართ, კარგად ვსწავლობთ“.

„ოქტომბრელებს შრომა გვიყვარს“.

„ოქტომბრელები გულმართალი და გამგებანი, მარჯვე და უნარიანი ბაეშვები ვართ“.

„ოქტომბრელებმა კარგი მეგობრობა ვიციტო“.

„ოქტომბრელებს გვიყვარს თამაში და მხიარულება“.

„ოქტომბრელები მომავალი პიონერები ვართ“.

ლამაზად მორთეთ ბანაკში თქვენი ქალაქი... შეასრულეთ საყვარელი სიმღერები. ითამაშეთ, შეაქეთ ხელმარჯვე ოქტომბრელები. მოაწყეთ სპორტული შეჯიბრება. გამართეთ ოქტომბრელთა პარადი...



## „ქოქციოზინა“



მხატვარი ელჟარდ ამბოქაძე

გავიკვირდებათ ეს სათაური: სად ფაბრიკა და სად კოკლოზინაო, მაგრამ ბოლომდე ჩაიკითხეთ ნაამბობი.

ძალიან მიუვარს ტბილი სასუსნავი, უელის ჩაკოკლოზინება. ერთელ შოკოლადი მოკვნიტე, მაგრამ კბილი ისე მატკინა, რომ სიმწრისაგან მოვისროლე. უცებ ფეხებში რაღაც გამომედო, დავიხედე და... დავინახე—შოკოლადის ქაღალდზე ნახატი წითელქუდა თითს მიქნევდა: კანფეტის დამზადებაზე რამდენი შრომა იხარჯება, შენ კი წაყვნიტილებს აქეთ-იქით ისვრიო. შემრცხვებ, წითელქუდამ კი ხელი ჩამკიდა და მითხრა: წამო, ყველაფერი შენი თვალით უნდა განახოო (ის ხომ ზღაპრის გოგოა, ყოვლისშემძლე!).

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ერთ შენობას მივადექით. აბრაზე ეწერა: საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „თბილკონდიტერი“.

ბოლო სიტყვა მეუცნაურა.

„თბილკონდიტერი“ ორი სიტყვისაგან შედგება,—ამიხსნა წითელქუდამ,—თბილ—შემოკლებით თბილისია,—კონდიტერი კი ლათინური სიტყვაა და ტბილეთულის დამზადების მცოდნეს, ოსტატს ნიშნავს.

შესასვლელში წითელქუდამ ურჩმილი აიღო: — ცვლის უფროსი, ტექნოლოგი ახვლედიანი მალაპარაკეთ!—ჩასძახა საქმიანად. ნეტავ „ტექნოლოგი“ რაღა-მეთქი, გავივლე გულში, მაგრამ წითელქუდას რომ არ ეფიქრა, რა უცოდინარიო, ვამჯობინე მერე მამაჩემისთვის მეკითხა.

— დეიდა ბელა, წითელქუდა ვარ, შეიძლება ერთ ჩემს მეგობარ ბიჭუნას ფაბრიკა დავათვალიერებინო?

მერე ურჩმილი დადო, გამძძვა, ეზოდან ერთი საღარბაზოს კიბეზე ამიყვანა და ჩვენ აღმოვჩნდით...





# შოკოლადის სააპკროზი

ვანილინისა და სხვა საამო სურნელმა გამაბრაყო. გუფუნებდნენ მანქანები, მუყაითად დასტრიალებდნენ მათ თეთრბალაითანი მუშები.

წითელქუდამ ერთ მანქანაზე მიმოითათ, აი, აქედან იწყება შოკოლად „დათუნისა“ დამზადებაო (დათუნისა“ ხსენებაზე თვალები გამოიბრწყინდა). მანქანა მოხალულ ნუშს აქუცმაცებდა და ვიღერ ვალც-მანქანას გადაულოცავდა, მეკანფეტებები კაკაოს ზეთს და შაქრის წმინდა ფვილის უმატებდნენ. ვალცი ყველაფერ ამას კიდევ უფრო აწვრილობანებდა და მოსაზღლად ახლა მიჩნ-მარკ-ნუ-...შოკოლადება ხელეხს... მე და წითელქუდამ გადავინაცვლეთ და ჩამოსახსმელ თოვანდ—დიდ ქვაბთან გავჩერდით, აქედან ტბილი ნარევი კონვეიერზე (მოდრავ „ბილიტე“) დღაგებულ ვაფლის ფურცლებს სანთელივით ეღვინებოდა. მეჩერ ზემოდან კიდევ ერთი ვაფლის ფურცელი ეფინებოდა და გასაგრძობლად მაცივარ-კარადში იკეტებოდა. ...გაციებული დიდი ოთხკუთხედები ახლა სხვა მანქანამ პატარ-პატარებდა დაქრა და „ტიტველი“ კანფეტები შოკოლადის ტიქურაში ამოსავლებდა გემულრინენ. „შეიმოსნენ“ თუ არა შოკოლადით, ისევ მაცივარ-კარადში უშვებდნენ „გასაყებლად“ და აბა, მეჩერ იყო საყურებელი—შემხვევი მანქანის ღარში სულ ხტუნვა-ხტუნვით მოიჩქაროდნენ დათუნიებით მოხატულ ლურჯ კაღდანდში გამოწყობილები. მოდიოდნენ და მოედინებოდნენ სხვა შოკოლადებიც: „ცივი“, „მერცხალი“, ბოლოს ბურთზე ფეხშედგმული ბიჭიც გამოემეკიმა წინ, „აბა, წამართვიო“—ფეხბურთის გუნებაზე დვდემქი, მაგრამ წითელქუდამ ფიქრიც არ დამაცადა,—თუ იცი „დათუნია“ რამდენ ხანში დამზადდის? მხრები ავიჩქერ. ნახევარ საათშიო, მიპასუხა და ხელად ამოცანაც მტკიცა. საშობადა ხუთი ცალი „დათუნია“ ერთ კილოგრამს იწონის, რამდენი კილოგრამი იქნება ექვსას ორმოცდაათი ცალიო? წამომცხა, ზეპირი ანგარიში ხუმრობა საქმეა?!. ამ დროს იქვე ჩამწყვრივებულმა დოქებმა, ფიალებმა, აქეთ—ჩურჩხელებმა მომტაცა თვალი. ბიჭოს, ხომ არ შეღანდებამეთქი? ჩემი შემსურე წითელქუდა კისკისებდა—ეს შოკოლადის ერთგნული ფიგურებია, ცვლის ტექნოლოგმა ციური მიქიანვილიმა მოიფიქრა და ფაბრიკამაც დაიწყო ასეთი შოკოლადების დამ-



ზადებამ. შოკოლადის ქვევრი! შოკოლადის უნწი!.. ფიქრმა გამოიტაცა, ვერც კი გავიგე, როგორ ამიყვანა წითელქუდამ.

# ქაჩაველის სააპკროზი

— იცი, რა არის კარამელი?

— კანფეტი!

— კანფეტი ბევრნაირია, კარამელი კი შაქარბადაგინი სეროფით მზადდება და გულში ხშირად რაიმე ნარევი აქვს. აი, ამას ყინულოვანი ჰქვია,—მიმოითათ გამჭვირვალე კანფეტო, ამას—ხილკენკროვანი. რძიანი კარამელიც ძალიან გემრიელია, თბილისგულიანი ხომ... მე თვლი წინ გამეჭვია. „დაზგაზე“ ზებრასავით ზოლიანი, ტბილი ცომი იწვა „მხართოშოზე“, მაგრამ ვინ მოასვენა, მეკანფეტებმა ხან აქეთ აბრუნეს, ხან იქით, კარგად დაუზღეს გვერდები და მერე ცუმცუმაღლე დააფდეს (ამ მანქანის სახელი მუშისხაგან გავიგე). ცუმცუმაღმა წელა, წელა და უალიბებიან ჯაქვზე გადაიტანა. ამოდენა ცომი პაწია ბალიშებად დაქუცმაცდა. ეს ხომ „იკიბოს კისერია“!—წამოვიძახე გახარებულმა ჩემი საყვარელი კანფეტის დანახვაზე. აქეთ გამოიხედე, აქეთათო,—გამწია წითელქუდამ და ჰოი, საკვრეველებავ, დავინახე, რომ კონვეიერზე დაფინილი ყვითელი ტბილი ტულაპი იბურცებოდა... მეჩერ მანქანა თავში უკაქუნებდა მას და დამარცვლილს ფერად პარკებში ურჩად. ორასი გრამი ჩაიყრებოდა თუ არა, პარკს პირს უკერავდა და გზას ულოცავდა ბავშვებისაკენ...

— წითელქუდავ, ერთი მანქანაც რომ გაფუქტდეს, ხომ მთელი საამქრო გაჩერდება?—დამკრა უცებ თავში.

— შე კანფეტოკვეტო, არაფერი არ იცი,—მიომიგო მან,—დილოადრინან, შენ რომ ძილის გულაში ხარ ვახვეული, ფაბრიკაში მექანკოსები და ზეინკლები მოდიან, საგულიგულოდ ამოწმებენ მანქანებს და თუ რაიმე ხინჯს შეამჩნევენ, უშალ გამართავენ. ამის მერე-ლა იწყება ფაბრიკა მუშაობას.

კიდევ რამდენი რამ მინახა და გამაგებინა წითელქუდამ. დამშვიდობებისას კი თავისი კალათიდან გოლიათი კანფეტი მომაწოდა—ყელი ჩიკოლოზინო! მინდოდა ვეთქვა, გავიზრდები და მეც მეკანფეტი მუშა ვიქნები-მეთქი, მაგრამ წინასწარ ტრანაბი რა საუბროს!

კანფეტოკვეტის დავალებით

პითეპან ზილაშვილი



**ს ბ უ მ ა რ ი**

**ზ ა მ ა ნ ა მ ა**

ნიკანთ ქვირის  
სტუმრად ვინ ჰყავს,  
ვის უშაღებს  
ნეტავ ხინჯალს?  
— ვინა ჰყავს და,  
ქალაქელი  
შვილიშვილის შვილი  
ნიკა.



**შ ი ს ე**

**ზ ა მ ა ნ ს ა ნ ი ძ ი**

— რატომ ტირი, ფისუნია,  
რატომ მოვიწყენია?  
— აგერ ქვაბში რმე ასხია,  
მაგრამ მლიერ ცხელია.  
— დაცადე გაცივება,  
ცოტა უკან დაიწი.  
— ახლა რაღა დროისაა,  
თათი უკვე დავიწვი.



**მ ა მ ა რ ა მ ა მ ა მ ა მ ა**  
**ვ ი თ ი ა რ ი**

ქააუშმა ზაქარამ  
ჰაწაწინა მანქანა,  
ჰიდა, ახლა მანქანას  
არ დატეხს ზაქარა,  
ახლა თვითონ ზაქარას  
სეღით დატეხს მანქანა.

**ბ ი ს ა**

ნაკბ უხუშთია  
და ტუქთა მისერია,  
მაგრამ ზარის დახან  
ახრადეე არ მისვლია.



ავთანდილ მახარაიშვილი



**შ ი ს ო ს დ ა რ ი**

**მ ი შ ა რ ა დ ი ს ა მ ა მ ი**

ბებო, იცი, ამ ბოლო დროს  
რაზე დარდობს ჩვენი ფისო?  
ონკანიდან წყლის მაგიერ  
რატომ რმე არ გადმოდისო!



**ვ ი მ ზ ი მ ბ ა დ ა მ ა დ ა ი რ ნ ა**

**ა . მ ო ნ ი ა მ ა მ ო ლ ი**

მეინარის პირას, გზაში თავი მოყვარათ მამდაყინწებს, იხვებს, წიწილებს.  
— აბა, ამ გუბებს ვინ გადაბტება,—თქვა პატარა მამდაყინწამ,—შაშა,—დაიძება და გადახტა კიდეც.—ვიტვითა,  
მიღი აბა, შენი ჩემსავით გადახტომას თუ შეძლებ, მაგასაც ვნახავო!—უხონა მერე სამი-ოთხიოდე დღის ითვის ქუეჭულს.  
— მიღი, მიღი!—აქუხედნენ მეგობარი წიწილები.  
ვიტვითა აფვილიდან მოწყდა, მეინარისთან მიიბრინა და მალეი ნაპირიდან პირდაპირ წყალში ისეკა!  
— ფედე, ამ ციკქანს არ უყურებთო,—იყვირა ქათამშა.  
— არიქა, მიეშველთ, დაიბრინება! აბა, მამლებო! თუ ვეცაკებო ხართ, უშველეთ!—ახმაურდნენ დანარჩენები,—მაგრამ  
მამლებს თავი არ გამოუღვიათ.  
— ფედეისი სად არის?—შფოთაფეა ჰრედა...  
— უბადე ფედეა გაისუსა.  
— რა იქნა ვიტვითა... რატომ აღარ ჩანს, ზომ არ დაიბრლო ის საცოდავი?!  
— აგერ, თუ დაიბრლო!.. ჩაყვინთა და ამოვიდა,—წამოძახა მამდაყინწამ და მეინარის ნაპირთან მივიდა.  
ვიტვითა ნაპირისკენ მოტურაფედა.  
მამდაყინწა დიდხანს უცქერდა ციკქანს ითვის ქუეჭულს და გულში ფიქრობდა:—ეჰ, ნეტავ ასეთი ცურვა ვიციფე და მეტი  
არაფერი მინდაო!

# გიგლიკოს შაქალი

## ვლადიმერ ასლანაზიშვილი

ჩვენს თეთრ მამალს ყანწივით მოხრილი დეგები და ბროწეულივით წითელი ბიბილო ამშვენებს. შეფრინდება ღობეზე და ომახიანად ყვირს.

— რა მამალი მყავს?— იტყვის ხოლმე ჩემი უმცროსი ძმა გიგლა. გიგლას შინაურები გიგლიკოსაც ვეძახით, ის მამალზე ორი წლით უფროსია.

მამალიც მარტო გიგლიკოს ცნობს პატრონად. მე, დღეს და მამას არაფრად გვაგდებს. დაგვიჩაბავს თუ არა ეზოში, ერთს ავად დაიქოთქოთებს, წამოვა ცერ-ცერ და თუ ჯოხი არ გვიკვირავს, შწარვად ჩაგვიჩიკარტებს.

— ეს ვერანა, ძაღლია თუ მამალი!— ჯავრობს მამაჩემი, — მავას წაღლით თავი უნდა გავაგდებინო.

— აბა ხელი დაადეთ, — იბღვირება ჩემი ძმა და მოზვერვივით თვალებს აბრიალებს, — ყოჩალი რომ არის, თავი იმიტომ უნდა წააგდებინოთ?

ამას წინათ თავის წაცლას მართლა ვადაჩნა მამალი. მეზობლის გოგოს თამროს თითში ჩაუნის-კარტა და ხელიდან ცხელი ლავაშის ნაჭერი ვააგდებინა. თამროს წვეტიანზე იმისმა ბებიამ, რაც წყველა იცოდა, სულ მამალს გამოუგზავნა. არც ჩვენ დაგვიჩინდა, ნეტავი რა თავში იხლით, მავას ხომ არ უნდა შეაქამათ ღიღ-პატარაო.

სწორედ მაშინ სტაცა წაღღს ხელი მოთმინება-დაკარგულმა მამაჩემმა. გიგლიკო რომ არ გამოსარჩლებოდა, მამალი თქვენს კირს წაიღებდა.

— კარგი, კარგი, ერთხელ შენც რომ ჩაგინის-კარტებს, მაშინაც გამოეკომაგე! — თქვა მამამ.

მამალს კი არც ერთხელ არ ჩაუნისკარტებია გიგლიკოსათვის. პირობით, დაინახავს თუ არა, კოკოკოს ძახილით მიესალმება, მისი ხელიდან მიირთმევს საკენეს.

ერთხელაც ისეთი ამბის მოწმე გახვდი, რომ დაერწმუნდი, მარტო ჩვენს მამალს კი არა, მთელი ჩვენი სოფლის მამლებსაც უყვართ ჩემი პატარა ძამიკო.

შუალანისას გამომეღვიძა. გარეთ მამლები ყიოდნენ:

— გიგლიკოო...

გგონიათ, ნამძიარტეს მომეჩვენა? ზღაპრული მამლები ლაღ... ჯერ ჩვენი მამალი იწყებდა, მერე სოფლის მამლები ემბატებილებოდნენ:

— გიგლიკოოო...

მას ჩემს გვერდით ეძინა, ხელი ეკარი, გამოვადვიე.

— რა იყო? — თვალები დაახამხამა გიგლიკომ.

— ყური დაუგდე, მამლები რას ყვირან!

— რას?

— გიგლიკო, გიგლიკო, ბიკო, შენს სახელს იძახიან!

ძმა გაიტრუნა. უსმინა, უსმინა და აჩურჩულდა: — მერე რატომ იძახიან მამლები ჩემს სახელს? დიდხანს არ დავექტრებულვარ:

— იმიტომ, რომ ჩვენი მამალი სიკვდილს გადაარჩინე!

გიგლამ გაიღიმა. ბალიშზე თავი მიღო და ნეტარებით გაინახა.

გარეთ კი არ ცხრებოდა მამლების ყვილი:

— გიგლიკო, გიგლიკოო!



# დაუპირისპირი



რამდენიმე წლის წინ ჩვენს ჟურნალში დრო-დადრო ქვეყნდებოდა ლექსები, ზღაპრები, მოთხრობები, რომლებიც წინათ დაიწერა, მაგრამ დღევანდელ ბავშვებსაც უსათუოდ მოეწონებათ. განვახალხებთ ასეთი ნაწარმოებების ბეჭდვას. თან ცოტა რამეს გაამზობთ ხოლმე მათ ავტორებზე.

ვინ მოთელის ქართველი ბავშვების რამდენი თაობა გაიზარდა იოსებ დავითაშვილის მშვენიერ ლექსზე «ჯეჯილი»:

იზარდ, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო.  
იკურთხოს იმის მარჯვენა,  
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ი. დავითაშვილის სიტყვებზე დაწერა დიდი ხნის წინათ კომპოზიტორმა ანდრია ყარაშვილმა სიმღერა „სამშობლო“, რომლის მელოდია ყოველდღე შევიძლიათ მოისმინოთ საქართველოს რადიოს და ტელევიზიის გადაცემების დაწყებისა და დამთავრებისას. ყველას ახსოვს ეს მშვენიერი ლექსი:

სამშობლო, ჩემო ლამაზო,  
ზურმუხტო ანუ აღმასო...

ი. დავითაშვილი სოფლელი კაცი იყო! ლატაკი გლეხის შვილი. წიგნის და შრომის სიყვარულმა გახადა ის „ჩუკურთმის მკრედი, მწიგნობარი და პოეტი“, და თავის ნაწერებშიც დღესაც თუ პატარას წიგნის, შრომის, სათნოების სიკეთეზე ესაუბრებოდა. აბა წაიკითხეთ რა ლაღად, მსუბუქად და თანაც ღრმავარაუდნად სწერდა იგი:

შებედეთ, სოფო ლადიკოს  
მსხლებისთვის წაეკილაო,  
თავში ციცივისა ცემითა  
ძმას ჟუკან გაეკილაო.  
დღემამ მოასწრო სოფიკოს,  
თავისკენ მიიზილაო:  
კულრაქვე, ხარბი რადა ხარ,  
წყელივით შენ რად გინდაო?  
თითომა თითო აიღეთ,  
მშობელსა გამოგონეთო,  
მოღით, შერიგდით,—და-მშურად  
ერთმანეთს ჩაეკონეთო.

## გამოხანა

არცა ვარ პური, არც ლენოა,  
არც თვის საღები ინაო;  
ვინც შემიძინა მე მეტი,  
წინ ვერვინ წაურბინაო.  
ჩემს თავს ვერავინ წაართმევს,  
თუნდ სცემონ ქვა და რკინაო,  
მისთან ვარ მისდა საქებრად,  
ჩემით სხვას უძღვის წინაო.  
**ახსნა:**

რას მომცემ გამოცნობაში,  
ჩემო ძვირფასო ძიაო:  
სწავლაა ბნელის ფარანი,  
სწავლა ნათელი დღეაო.





# ხასიათი

თამაზ გოგოლაძე

— თინიკო, გოგო! შენს გაზრდას, ცივი წყალი მოგვიბრუნინე!—კაკომ სახეზე მომსკლარი ოფლი მოიწმინდა და ხარაჩოზე შემდგარმა, სანახევროდ აყვანილი კედლიდან ეზოში გადაიხედა.

ილიკომაც ხსნარით სახსე ვედროები ხარაჩოზე დადგა და ოფლი მოიწმინდა.

— თინიკო, გოგო! არ გეყურება?

ილიკომ ცარიელი ვედროები აიღო და ეზოდან გავიდა.

წყაროდან ნადენი წყალი ეზოს ღობის გასწვრივ ჩაუღლიოდა აქ, ერთ ადგილას, ხსნარის ასარეველ საგუბარი გამართათ მშენებლებს.

— არ გეყურება?—მიმართა ილიკომ საგუბართან ჩატუტულ კიკინებთან გოგონას,— აიღე თუნგულა და წყალი მოიტანე.

— იი!—ისე დაღმიქა სახე გოგონამ, თითქოს მკვანხე ტყეშალი ჩაიგემოვნაო,—თინიკო... ვანა თამრიკო... მე ხო თინიკო არა ვარ!

— მერე, სულ ერთი არ არი?! მამაშენს წყალი სწყურია... აიღე თუნგულა!

თამრიკო წელში გაიმართა, ქალივით ერთი ცერად შეხედა ძია ილიკოს და ჭიშკარს მიაშურა.

— სად მიხვალ, გოგო?

ვითომც არ გაუგონია, ჭიშკრის კუტიკარი გააღო და ეზოდან გავიდა. სამუშაოდან მობრუნებული მუშაკაცივით ნელა ჩაიარა ორობზე, მგზობლის ეზოში შეიხედა. კიბესთან

მობუცი ქალი მატყლს ჩეჩავდა.

— ჩენი თინიკო აქ ხომ არ არის, ბებო?

— აა, შეილო... წედან თვალი მოვკარ, ვგრე, აღმა მიპყეებოდა გოგოებს.

თამრიკომ საკირეს ჩაუარა, კოლმეურნეობის ფერმასთან გავიდა, მერე ვიწრო ბილიკი ჩალოდა თინას თანაკლასელი გოგონას, ნინოს სახლს მიაღება. ნინო შინ არ დახვდა.

იქნება პიონერთა ბანაკში არიანო, ვაიფიქრა თამრიკომ. ბანაკი სოფლის ბოლოში იყო. ზაფხულობით აქ ბევრი პიონერი იკრიბებოდა. დანარჩენ დროს კი სათამაშო და გასართობი მოედნები სოფლის გოგო-ბიჭების ხელში იყო.

ბანაკში მხოლოდ ბიჭები დახედნენ.

გამობრუნდა თამრიკო. სკოლაშიც შეიხედა, იქნებ შემთხვევით იქ შეიარეს გოგოებმაო.

ასე დადიოდა კარდაკარ თავისი დის ძებნაში და როგორც იქნა მიაგნო.

— თინა, გოგო...

— ჰო, რა იყო თამრო!

— მამამ, მოვიდესო.

— ახლავე... წავიდეთ.

თამრიკო ისე იყო არაქათგამოცლილი, ფეხებს ძლივს მიათრევდა.

— ნელა იარე, — სთხოვა დას.

— დიდხანს მეძებდი?

— ...მთელი სოფელი შემოვიარე. ბანაკშიც ავედი.

— რაო მამამ, რა მინდაო?

— მიხვალ და გაიგებ.

ეზოში რომ შევიდნენ, მხოლოდ მაშინ უთხრა:

— მამას წყალი მოსწყურდა... აგერ თუნგულა!



# სპორტული ოლიმპიადები

ამ ჟურნალს როცა მიიღებთ, მოსკოვში ოლიმპიადა იქნება გაჩაღებული. ვინც ჩვენს ჟურნალს თვალს ადევნებს, ეცოდინება, რომ იქ მრავალი ქვეყნის სპორტსმენები შეეჯიბრებიან ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საბჭოთა სპორტის ღირსებას სხვებთან ერთად დაიცავენ საქართველოს სპორტსმენებიც. მაგრამ საქართველოს მონაწილეობა ოლიმპიადაში ამით არ ამოიწურება.

ჯერ იყო და რამდენმა ქართველმა დაღო ავტური ოლიმპიურ ნაგებობათა ასაშენებლად. ახლა კიდევ ოლიმპიადის საბეჭოში გახსნაში, ოლიმპიადის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის გამართულ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ხელოვნების ოსტატები, საცეკვაო და ვოკალური ანსამბლები. ოლიმპიადის მთავარი დირიჟორია ოდისეი დიმიტრიადი, ოლიმპიადისთვის აგებული ერთ-ერთი ძირითადი სპორტული კომპლექსის მთავარი მხატვარი—ზურაბ წერეთელი. ოლიმპიადისთვის გაგზავნილია ჩვენებური სუვენირები—ქართული კერამიკის უღამაზესი ნიმუშები;

გარდა ამისა საინტერესოა, რომ ოლიმპიადის

საბეჭოში გახსნის საბჭოთა მონაწილეები, ამას გარდა ის სპორტსმენები, ვინც ოლიმპიურ ჩირაღდანს საბჭოთა კავშირის ტერმინოლოგიაზე გაატარებენ და ის მეჩირაღდნეც, ვინც მოსკოვის სტადიონზე ოლიმპიურ ცეცხლს დაანთებს, გამოწყობილი იქნებიან თბილისში დამზადებულ კოსტუმებში.

თბილისური კოსტუმებით გამოვლენ შეჯიბრებებზე საბჭოთა მძღვოსნები, მოცურაგეები, მოჭიდავეები, ველსიპედისტები და ძაღოსნები.

დაე საქართველოდან გაგზავნილია სპორტულმა ტანსაცმელმაც შეუწყოს ხელი ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებას—ღალად, შეუპირგებლად გატყარცნოს წინ მხტომელთა და მობრუნელთა

სხეულები, უფრო ხერხიანად გამოაყენებინოს ფაღავნებს საჭიდაო ფანდები, მოძრაობა გაუიოლოს ბირთვის მკვრელებს, ბადრას, შუბოს, ურის მტყორცნელებს, ველომრბოლელებს, კუნთმაგარ მოჭიდავეებს...

დაე გამარჯვებებს გამარჯვებები მოაყლოდეს, წინანდელს—ახლანდელი, ახლანდელს—მომავალი. და მომავალ გამარჯვებებში დაე თქვენც გქონდეთ წილი. მომავალ ოლიმპიადებზე გვენახოს თქვენგან ბეჭებზე დადებული მოწინააღმდეგე, თქვენი ქარზე უსწრაფესი ქროღა და გატახილი ღამაზი ზურთები, თქვენგან ზუსტად ნატყორცნი ისრები, თქვენი ირმის ნახტომი! ამისათვის კი დღეიდანვე უნდა მიაზუროთ სტადიონებს, სპორტდარბაზებს.



6

ლევანდელი იანვრის ნომერში „დილაში“ გამოაქვეყნა ანკეტა. შშობლებს, მასწავლებლებს, პიონერხელმძღვანელებს და ცხა-ლია, ჩვენს ნორჩ მკითხველებს ვთხოვდით რამდენიმე კითხვაზე გავცათ პასუხი.

წერილებმა არ დააყოვნა. თებერვლიდან მოყოლებული დღე არ გაუ, ფოსტალიონმა ანკეტებზე პასუხი არ მოგვიტანოს.

რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც გამოგზავნა ჩვენი თხოვნას. გამორჩეულად გვინდა შეგაქოთ თქვენ, ჩვენო პატარა მკითხველებო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორ გყვარებით „დილა“, რა გულდაღებით კითხულობთ თურმე ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობებს, ზღაპრებს, ლექსებს, გამოცანებს.

რედაქციამ მიიღო 1500-მდე წერილი. ყველას გულწრფელად მოუწერია გულის ნაღები. ზოგს ყველა კითხვაზე უპასუხნია, ზოგს ნაწილზე ანკეტამ გვიამბო, რომ „დილას“ ქალაქად და სოფლად თითქმის თანაბარი რაოდენობის მკითხველი ჰყოლია (53% სოფლელი მკითხველის წერილია, 47% — ქალაქელისა).

საინტერესოა, რომ ამ 1500 წერილიდან 500 (ე. ი. მესამედი — დაახლოებით 33%) 0, I და II კლასის მოსწავლის მოწერილია, 800 ბავშვი (ე. ი. მკითხველთა დაახლოებით 46%) III და IV კლასელები არიან. დანარჩენი 200 მკითხველი კი ძირითადად V, VI და VII კლასე-ლია. პასუხებიდან ჩანს, რომ „დილას“ პატარგბთან ერთად ბებიები და ბაბუები, დედები და მამები, უფროსი დები და ძმებიც კითხულობენ. ასე რომ, ჩვენი „დილა“ თითქმის მთელი ოჯახის საკითხავი ჟურნა-ლიც ყოფილა.

მკითხველთა სახელით დიდი მადლობა უნდა მოგახსენოთ ჩვენს მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს. ისინი ძალ-ღონეს, ცოდნასა და მონ-დომებას არ იშურებენ, რათა თქვენ კარგი მოთხრობები, ლექსები და ზღაპრები დაგიწერონ. ღამაზად გაფორმებული ჟურნალი გამოგოგზავნონ.

ანკეტამ გვიამბო, რომ ბავშვებს ყველაზე უფრო თავიანთ თანატო-ლებზე დაწერილი მოთხრობები მოსწონთ. სიამოვნებით კითხულობენ მეგობრობაზე, ერთგულებაზე, უფროსებისა და სამშობლოს სიყვარულზე დაწერილ ნაწარმოებებს. მათ ძალიან უყვართ კეთილად დამთავ-რებული ზღაპრები, მხიარული, ლაღი ლექსები. ბევრი ვეთხოვს გავამ-რავალფეროვნოთ „ასფურცელა“, გამოვაქვეყნოთ იქ უფრო ძნელი და სახალისო თავსატეხები, გამოცანები. რედაქცია უახლოვს ნომერებში შეგატრულებთ ამ სურვილებს. მკითხველთა სურვილის გათვალისწი-ნებით გავხსენით ახალი განყოფილებები: „მობურთალსა მოგდანია“, „არ-ჩვენი — არადანი“, „პიონერის ანბანი“; ყველაზე პატარებს სისტემატუ-რად მიუძღვნით რუბრიკას „მზე იცინის“. ცნობისმოყვარეთათვის გახსნილია განყოფილება „რატომ, როგორ, სად, როდის, რისთვის?“ მხატვრის პალიტრიანი თავსართით დამზენებული განყოფილება „ცი-სარტყელა“ ვიამბობთ ხელოვნების ნიმუშებზე და სხვა.

რედაქცია მუდამ სიამოვნებით გაითვალისწინებს თქვენს სურვი-ლებს. კვლავაც მოგვწერეთ — რა მოგწონთ და რა არა, რაზე გინდათ რომ წეროს თქვენმა ჟურნალმა.

# მეგობრები წერენ



ქ. ბრ. სის. სპ. ნამ.  
სსრ. სახალხოწიფო  
განსაუზმელოში  
მ. მ. მ. მ. მ.



# რომელი ვარ მე?

მე გიაზე მაღალი ვარ, მაგრამ არც ისეთი გამზდარი, როგორც ნოდარია და არც ისე მსხვილი, როგორც ლაშაა. ამასთან, გაგიმზებთ, რომ მე ვეძაზე და თემოზე დაბალი ვარ. რომელი ვყოფილვარ მე?!




## აბა სცადე!

დაღე მაგიდაზე ასანთის ცარიელი კოლოფები ისე, როგორც ნახაზზე ნაჩვენებია და მთელი ძალით დაარტყი მუშტი. კოლოფები არა თუ არ გატყდება, არც გაიხრება და ორივე ნაწილი აქეთ-იქით გასხლტება. მაგრამ საკმარისია კოლოფს ხელი დაადო და ოღნავე დააწე, რომ იგი გატყდეს.



შეადგინა თეთრ ზაქარაშვილმა.



დახატე სახედრის დიდი სუთათი, ოღონდ უკულოდ, შემდეგ (იხე) დახატე კული და გამოკერი.


სახედრის სუთათი მოკარი კედელზე და სცადე იქნებ კული გამოაბა.

თამაშის მთელი სერი ისაა, რომ სახედარს კული თვალახეველმა უნდა მიიბა და, რასაკვირველია, სწორედ იქ, სადაც მისი აღილია.



## პასუხი № 6-ეი ღვეპილი კრძსკრძს

- შეეულად: 1. ლომი; 2. ტანი; 3. ფშაი; 4. მეტრი; 7. ვარდი; 8. ონჯა; 9. წალკა; 10. მელია; 13. ტიმი; 15. ტყვია; 16. ერწო; 17. ზიდი.
- თარაზულად: 5. შიმპანზე; 6. ზეინი; 9. წვიმა; 11. ენძელა; 12. პიტა; 14. ალტია; 18. მარგლისი.



შეავეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელწოდებით ისე რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა „ოქტომბრილი“.

შეადგინა ხელის რაიონის სოფელ ტუნაძეების რეაწლიანი სკოლის ნოსწაველმა ზადარ შანიძემ.

# ოლი გამოცანა



1. ბიჭუნას ხუთი წვეილი წითელი და ხუთი წვეილი შავი წინდა ჰქონდა. ერთ საღამოს კარადიდან რომ წინდებს იღებდა, შუქი ჩაქრა, როგორ ფიქრობ, რამდენი წინდა უნდა ამოედო, რომ მთლიანი ერთი წვეილი ერთი ფერის წინდები შესვედროდა?

2. სამი ბიჭი ჭადრაკს თამაშობდა, თითოეულმა მთვანამ ერთ-მანეთთან თითო პარტია ითამაშა. რამდენ პარტიას ითამაშებდნენ სულ?



# ყიწკა



## პეპეკიძის სახიფათო ჩივის

ზაფხულის ერთ დღეს პეტრიკელა უზარმაზარ საზამთროს გადააჯდა, მტკვარში შეცურდა და ნახევარ საათში შავ ზღვაში ამოჰყო თავი. ღამით ანკესით თევზები დაიჭირა, პრასზე და ხახვზე ააცვა და კისერზე ჩამოიკიდა. თოლიები შეესივნენ და თევზებს მუსრი გააგლეხს, ის კი არა, კინალამ პატრონიც ზედ მიაყოლეს. ატყდა საზღვაო ომი: ზღვის ვეფხეები, ლომები და მგლები ერთმანეთს დაერივნენ. პეტრიკელამ ორ დელფინს მოჰკრა თვალი. საზამთრო შუაში გაჭრა, ნახევარი ერთს ჩაუდო პირში, ნახევარი—მოორეს.

- აი, ამ ტკბილ კაკას გატყვევო, ოღონდ ნაპირზე გამოიყვანეთო.
- ჩვენი თავი შენ გენაცვალოსო! — მიუტყეს თევზებმა და პეტრიკელა ზურგზე შეისივს.

უეცრად თეთრი დათვები თავს დაესხნენ საცოდავ პეტრიკელას და სულ კუდით ქვა ასროლინეს.





საბავშვო  
ალმაგა-ინა  
და ვ. ი. ლენინის  
საბავშვო  
პარკთან  
მონეტა  
თავსდება  
კომპლექსური  
საბავშვო  
ფუნაქლი-  
სამაგიერო-  
სამაგიერო

გამოცემის  
48-ე წელი  
საქ. კა. ცა-ის  
გამოცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

ულაზე ნახატი მანანა შორილაძისა

მთავარი რედაქტორი შუბან შაბანბაძეანი

საბავშვო კოლექცია ულარე ამონაბე, ილია ანთოლაპა, კუპრი გომიანიანი, სოლომონ ლა-  
მარანიანი, ლილა ბრანა, ჯარა ლუგაშვილი (პ/მ მდგანა), მანანა კობახიძე, ბელა ლოსაბა-  
რიძე, მანანა მინიანიანი, ჯარა ნაღიანი, გომიანიანი (სამაგიერო რედაქტორი).  
ვივი ანთოლაპა, მირი წილაპი, ვივი ვიანიანი.

ტექნიკური მუშაობის

მანანა: რედაქტორი, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 34. ავტო. მთ. რედაქტორი — 93-41-30, 93-98-15;  
პ/მ მდგანა — 93-41-30, 93-98-18; სამ. რედაქტორი — 93-98-18; გამომც. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გამომც. სასაბავშვო 7/VI-80 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 18/VI-80 წ., კალაღის ზომა 60x90/4,  
ფ. ნახ. ფურც. 22, ტირაჟი 167.100. ფ. ც. № 1295. „მდგანა“ № 7. журнал для младшеклассников.  
на грузинском языке. ფასი 20 კაბ.